Published by TSU Press | DOI: [https://doi.org/10.62119/sjn.27.2026.12246]
© Nino Pkhakadze, Maka Susareishvili, 2026 | ISSN 1512-2514 (print) | E-ISSN 2346-772X (online)
This is an open access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License (CC BY-NC 4.0).
https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/
Sjani 27 (2026), [pp. 251-262]
sjani.ge

ვერბალური და ვიზუალური კოდების ინტერაქცია რეზო გაბრიაძის ესთეტიკურ სტრატეგიაში
(„შერეკილების“ მაგალითზე)
The Interaction of Verbal and Visual Codes in Rezo Gabriadze's Aesthetic Strategy: The Case of *The Eccentrics*

ნინო ფხაკაძე, მაკა სუსარეიშვილი
Nino Pkhakadze, Maka Susareishvili
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University
საქართველო, ქუთაისი
Georgia, Kutaisi

Received [1 May, 2026] | Accepted [1, July, 2026] | Published online [3 November]

Abstract

The artistic corpus of Rezo Gabriadze elicits profound scholarly interest, primarily due to the intricate manner in which literary narrative, theatrical vision, and visual expressivity converge into a singular, unified aesthetic system. Within this conceptual framework, the work *Sherekilebi* (*The Eccentrics*) is particularly noteworthy; here, the author's artistic strategy explicitly transcends the traditional boundaries of verbal storytelling to incorporate complex visual codes. This distinctive feature necessitates a rigorous critical analysis grounded in the theories of multimodality and intermediality. The narrative architecture of *Sherekilebi* functions as an inherently open system, purposefully designed to invite the reader into a state of active co-authorship and visual contemplation. Within this work, verbal and visual codes operate as mutually reinforcing semiotic systems: while linguistic signs estab-

lish the fundamental basis for visual perception, the visual elements significantly expand the semantic horizon of the text. It is precisely through this interplay that the multimodal structure of the work is formed, dictating the unique parameters of Gabriadze's aesthetic strategy.

In Gabriadze's paradigm, the linguistic layer serves as the primary semiotic impulse, performing a critical preparatory function for visual cognition. The strategic deployment of metaphors, epithets, reduplications, and onomatopoeia constructs a dense semantic environment that activates the reader's capacity for visual imagery. Consequently, the linguistic fabric of the work does not merely serve as a vehicle for narrative data; it functions as the structural scaffolding upon which visual meanings are articulated. Simultaneously, the visual strata – comprising authorial sketches, graphic details, and symbolic formulae – transcend the role of auxiliary illustrations. These elements are active agents in the process of meaning construction, effectively broadening the semantic field of the verbal narrative and ensuring that the visual layer remains an indissoluble component of the work's structural and semantic integrity.

Language, in this context, serves as an instrument of "visuality," endowing the written word with plastic form and preparing the reader for the complex process of multimodal perception animated by the aesthetics of *Sherekilebi*. These graphic insertions and the inherent "pictorialism" of the text are not merely decorative; they constitute a layer that ultimately dissolves the boundary between imagination and reality. The functional symbiosis of word and image imparts an ontological depth to the literary narrative, which stands as a semiotic bridge and organizing center. *Sherekilebi* is not merely a story, but a modeling of an existential journey, where Gabriadze employs the aesthetics of the absurd to demonstrate a manifestation of reality where the miraculous – symbolized by flight – becomes possible. The narrative fabric is woven upon the principle of "carnivalization," where mundane existence is transmuted into a phantasmagoria. This "local carnival" is noble and constructive, rooted in the humor of Georgian folkloric tradition. The characters are not classical psychological portraits, but "semiotic figures" or "living drawings," whose organic unity secures the work's singular position within contemporary Georgian intermedial literature.

Keywords: Rezo Gabriadze, The Eccentrics (Sherekilebi), Multimodality, Intermediality, Verbal and Visual Codes, Aesthetic Strategy, Semiotic Interaction

საკვანძო სიტყვები: რეზო გაბრიაძე, „შერეკილები“, მულტიმოდალობა, ინტერმედიალობა, ვერბალური და ვიზუალური კოდები, ესთეტიკური სტრატეგია, სემიოტიკური ინტერაქცია

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ტექსტის კვლევა სულ უფრო მეტად სცილდება მხოლოდ ლინგვისტურ ან ტრადიციულ ლიტერატურათმცოდნეობით ჩარჩოებს და ინტერდისციპლინური ანალიზის სფეროში ინაცვლებს. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მულტიმოდალურ და ინტერმედიალურ კვლევებს, რომლებიც ტექსტს განიხილავენ როგორც მრავალსაფეხურიან სემიოტიკურ სისტემას, რომელშიც მნიშვნელობა სხვადასხვა კოდის, ვერბალური და ვიზუალური ნარატიული, ურთიერთქმედებით ყალიბდება.

რეზო გაბრიაძის შემოქმედება ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან მის ტექსტებში ლიტერატურული ნარატივი, თეატრალური ხედვა და ვიზუალური გამომსახველობა ერთიან ესთეტიკურ სისტემად ფორმირდება. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა ნაწარმოები „შერეკილები“, რომელშიც ავტორის მხატვრული სტრატეგია მხოლოდ ვერბალური თხრობით არ შემოიფარგლება და მოიცავს ვიზუალურ კოდებს. ეს თავისებურება ქმნის ტექსტის ანალიზის აუცილებლობას მულტიმოდალური და ინტერმედიალური თეორიების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ რეზო გაბრიაძის შემოქმედება არაერთი კვლევის საგანი (ქარდავა, 2020; მაჩაბელი, 2019) გამხდარა, მისი ნაწარმოებების მულტიმოდალური სტრუქტურა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი. კერძოდ, „შერეკილები“ არ გამხდარა სისტემური ანალიზის ობიექტი იმ თვალსაზრისით, თუ როგორ ურთიერთქმედებს მასში ვერბალური და ვიზუალური კოდები ერთიანი ესთეტიკური ეფექტის შესაქმნელად. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ტექსტის გაანალიზებას მულტიმოდალური სემიოტიკის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებით, რის შედეგადაც უნდა დადგინდეს, როგორ გამოიხატება „შერეკილებში“ ვერბალური და ვიზუალური კოდების ურთიერთქმედება და რა როლს ასრულებს ეს ინტერაქცია ავტორის ესთეტიკური სტრატეგიის ფორმირებაში.

ვფიქრობთ, „შერეკილებში“ ვერბალური და ვიზუალური კომპონენტები ფუნქციონირებენ ურთიერთდაკავშირებულ სისტემად, რომელშიც თითოეული მათგანი დამოუკიდებელი სემიოტიკური ფუნქციის მატარებელია. ამ კომპონენტთა ურთიერთქმედება ქმნის ინტერმედიალურ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების ესთეტიკურ მთლიანობას.

მნიშვნელოვანია ვერბალურ ტექსტში იმ ენობრივი მექანიზმების გამოვლენა, რომლებიც ვიზუალიზაციის ეფექტს ქმნის, თვით ვიზუალური ელემენტების როლის განსაზღვრა ნაწარმოების საერთო ესთეტიკური სისტემის ფორმირებაში და ნარატიული სტრუქტურის ანალიზი იმ ფუნქციების დასადგენად, რომლებიც აერთიანებს ტექსტის სხვადასხვა სემიოტიკურ შრეს,

ამგვარი მიდგომით „შერეკილები“ განიხილება, როგორც ინტერმედიალური ტექსტი, რომელშიც ვერბალური და ვიზუალური კოდების ურთიერთქმედება არა დამატებითი ეფექტის, არამედ ნაწარმოების ორგანიზების ძირითადი პრინციპის ფუნქციას ასრულებს.

მულტიმოდალობის კვლევა თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ მიმართულებად ჩამოყალიბდა, რომელმაც ტექსტის ანალიზის ტრადიციული ჩარჩოები გააფართოვა და სხვადასხვა სემიოტიკური სისტემის ურთიერთქმედების კვლევის შესაძლებლობა შექმნა. ამ მიმართულების თეორიულ საფუძველს ქმნის (Kress & van Leeuwen, 2001) სოციალური სემიოტიკის მოდელი, რომლის მიხედვითაც ტექსტი განიხილება, როგორც მრავალმოდალური კონსტრუქცია, სადაც მნიშვნელობა იქმნება არა მხოლოდ ენობრივი ნიშნებით, არამედ ვიზუალური, სივრცობრივი და კომპოზიციური ელემენტების ურთიერთმიმართებით.

აღნიშნული თეორიული პერსპექტივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ტექსტებთან მიმართებით, რომლებშიც ვერბალური და ვიზუალური კომპონენტები ერთიან მხატვრულ მთლიანობას ქმნის. ამ თვალსაზრისით „შერეკილები“ წარმოადგენს მულტიმოდალური ანალიზისთვის მნიშვნელოვან მასალას, რადგან მასში ვიზუალური ელემენტები ტექსტის დამატებითი ილუსტრაცია კი არა, მნიშვნელობის ფორმირების აქტიური კომპონენტია.

ინტერმედიალური ანალიზის თეორიულ ჩარჩოს ავითარებს Gabriele Rippl (2015), რომლის მიხედვითაც ინტერმედიალობა გულისხმობს სხვადასხვა მედიუმის ურთიერთქმედებას ერთ მხატვრულ სტრუქტურაში. ამ მიდგომის საფუძველზე, „შერეკილები“ შეიძლება განვიხილოთ როგორც ინტერმედიალური ტექსტი, რომელშიც ლიტერატურული ნარატივი და ვიზუალური ნიშნები ქმნის ურთიერთდამოკიდებულ სისტემას. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, ტექსტში გამოვლინდეს არა მხოლოდ ცალკეული სემიოტიკური ნიშნების ფუნქცია, არამედ მათი ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ესთეტიკური ეფექტიც.

ვერბალური და ვიზუალური კოდების ურთიერთმიმართების ანალიზისათვის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია ასევე A.W. Heffernan-ის (1993) ეკფრასისის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ვერბალური ტექსტი შეიძლება ასრულებდეს ვიზუალური რეპრეზენტაციის ფუნქციას. ეს მიდგომა განსაკუთრებით პროდუქტიულია იმ მონაკვეთების ანალიზისას, რომლებშიც ენობრივი აღწერა ქმნის მკაფიო ვიზუალურ აღქმას და ამზადებს ვიზუალური ელემენტის ინტერპრეტაციას.

ნარატიული სტრუქტურისა და სივრცობრივი ორგანიზების ანალიზისათვის უნდა გამოვიყენოთ Mikhail Bakhtin-ის (1981,1984) ქრონოტოპისა და

კარნავალიზაციის ცნებები. აღნიშნული თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა, განიმარტოს, როგორ გარდაიქმნება ტექსტში ყოველდღიური რეალობა სიმბოლურ და ფანტასმაგორიულ სივრცედ, სადაც სხვადასხვა კოდის ურთიერთქმედება ერთიან ნარატიულ სისტემას ქმნის.

კვლევაში გამოყენებულია სამი ურთიერთდაკავშირებული მეთოდი. პირველი არის სემიოტიკური ანალიზი, რომლის საშუალებით განიხილება ტექსტში არსებული ვერბალური და ვიზუალური ნიშნების ფუნქცია და მათი კავშირები. ამ მეთოდის საფუძველზე განისაზღვრება, როგორ ქმნიან ენობრივი ელემენტები ვიზუალიზაციის ეფექტს და როგორ ერთვებიან ვიზუალური ნიშნები ტექსტის საერთო სემანტიკურ სტრუქტურაში.

მეორე მეთოდია ინტერმედიალური ანალიზი, რომელიც გამოიყენება ტექსტურ და ვიზუალურ კომპონენტებს შორის ურთიერთმიმართების გამოსავლენად. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს, რა ფუნქცია ენიჭება ვიზუალურ ელემენტებს ნაწარმოების მხატვრულ ორგანიზაციაში და როგორ ავსებებენ ისინი ერთმანეთს მნიშვნელობის ფორმირების პროცესში.

მესამე მეთოდია სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, რომელიც გამოიყენება ტექსტში არსებული ოპოზიციური სტრუქტურების გამოსავლენად, როგორიცაა სივრცობრივი და სიმბოლური დაპირისპირებები. ამ მეთოდის საშუალებით განისაზღვრება, როგორ მონაწილეობს ნარატიული ორგანიზაცია ვერბალური და ვიზუალური კოდების საერთო ესთეტიკური სისტემის ფორმირებაში.

ამგვარი მიდგომით შესაძლებელი ხდება, რომ „შერეკილები“ გაანალიზდეს არა როგორც ტექსტისა და ილუსტრაციის მექანიკური ერთიანობა, არამედ როგორც მრავალშრიანი სემიოტიკური სისტემა, რომელშიც ვერბალური და ვიზუალური კოდები ურთიერთქმედებენ ნაწარმოების ესთეტიკური მთლიანობის შესაქმნელად.

ვერბალური კოდის ფუნდამენტური შრე ლინგვისტური რესურსით იქმნება.

ვერბალურ დონეზე ავტორი იყენებს ისეთ ენობრივ მექანიზმებს, რომლებიც მკითხველში ვიზუალური აღქმის ეფექტს წარმოქმნის. პერსონაჟთა აღწერისას გამოყენებული ეპითეტები, რედუპლიკაციები და მეტაფორები ტექსტს ანიჭებს მოქნილობას და ქმნის ფიგურათა მკაფიო ვიზუალურ კონტურებს. მაგალითად, პერსონაჟების აღწერისას გამოყენებული ფორმულირებები არა მხოლოდ მათ გარეგნულ მახასიათებლებს გადმოსცემს, არამედ მკითხველს სთავაზობს ვიზუალურ მოდელს. ამგვარად, ენობრივი აღწერა

ასრულებს ვიზუალიზაციის ფუნქციას და წინასწარ ამზადებს ვიზუალური კოდის აღქმას.

კოდების სიმბიოზის იერარქიაში ლინგვისტური შრე ასრულებს გენეტიკური კოდის ფუნქციას. მაჩაბელი (2019) აღნიშნავს, რომ რეზო გაბრიაძე ნაწარმოების სამყაროს ჯერ სიტყვაში „აშენებს“, ანიჭებს რა მას სპეციფიკურ ფაქტურას, წონასა და რიტმს. ეს არის ფუნდამენტი, რომელზეც შემდგომ მათემატიკური ფორმულები და გრაფიკული ხაზები უნდა დაშენდეს. ლინგვისტური შრის მთავარი მახასიათებელია სიტყვის ნივთიერება: გაბრიაძისეულ დისკურსში ენა კარგავს აბსტრაქტულობას და ხდება მოქნილი მასალა. მისი ფრაზა მოკლეა, დინამიკური, არა მხოლოდ ინფორმაციის მატარებელი, არამედ პლასტიკური ელემენტი, რომელიც ნივთიერად შეიგრძნობა ტექსტში. ეს „ნივთიერება“ კარგად ჩანს პერსონაჟების პორტრეტულ დახასიათებებში; მაგალითად, ერთაოზის აღწერისას ავტორი იყენებს ეპითეტებს, რომლებიც მკითხველს პირდაპირ კარნახობს გრაფიკულ გამოსახულებას: *„ბუჩქებიდან ერთაოზი გამოლაგდა, ძაფ-ძაფად სველი, გამხდარ-გამხდარი, ქათამივით თვალებგაჩერებული“* (გაბრიაძე, 2022, გვ. 8) და *„ყელზევით რაცაა, ყველაფერი, ალბათ თავია“* (გაბრიაძე, 2022, გვ. 56). აქ ლინგვისტური შედარება არ არის მხოლოდ მეტაფორა, ის პირდაპირი ინსტრუქციაა მხატვრული აღქმისთვის. Kress-ის (2010, გვ. 54) ფორმულირებით: „ნიშანი ყოველთვის არის მოტივირებული და მისი ფორმა პირდაპირ კავშირშია იმ მნიშვნელობასთან, რომელსაც ის გამოხატავს“. ეს პრინციპი სწორედ ამ პასაჟებში ვლინდება – რედუპლიკაცია („ძაფ-ძაფად“, „გამხდარ-გამხდარი“) ენობრივ დონეზე ახდენს ვიზუალური ხაზის – გამხდრების, სიგრძის – იმიტირებას. რეზო გაბრიაძის ნარატივში ფერი და სინათლე მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი სემიოტიკური ერთეულები. ავტორი ენობრივ საშუალებებს იყენებს „ტექსტობრივი ფერწერის" (Heffernan, 1993, p. 3) შესაქმნელად. *„ისევ გამოჩნდა მათ თავზე ლურჯი, უძირო, სულისწამღები ცა – მამაზეციერის წამიერი საჩუქარი, და ყველაფერი გაქრა“* (გაბრიაძე, 2022, გვ. 114). ლურჯი ფერი აქ ეკფრასიული საშუალებაა, რომელიც გადმოსცემს თავისუფლების, სიმსუბუქისა და მეტაფიზიკური გარდასახვის განცდას.

ლინგვისტური შრის განსაკუთრებულ კომპონენტს წარმოადგენს ონომატოპეა. ბგერათა თანმიმდევრობა, რომელიც ლითონის ჭრიალს ან ქარის შუილს იმეორებს, ლინგვისტურ დონეზე ქმნის აეროდინამიკის ილუზიას. ამის ნათელი მაგალითია ძრავის მუშაობის აღწერა: *„ძრავა ექვსკაკუნიანი... მოხუცი კედელთან მივიდა, სადაც ძრავა იყო გამოსახული და მისი მუშაობის ტაქტის საჩვენებლად კაკუნი დაიწყო. ძრავა რიტმული აღმოჩნდა...“* (გაბრიაძე, 2022, გვ. 64). „კაკუნი“ არ არის მხოლოდ ხმოვანი ეფექტი – ის ორ სემიოტიკურ სის-

ტემას, გამოსახულებასა და ბგერას, ერთ ნიშანში აერთიანებს, რაც Kress-ს და van Leeuwen-ის (2001) ტერმინოლოგიით „ინტერმოდალური კოჰეზიის“ ნიმუშია. ლინგვისტური შრე ითვისებს ვიზუალურ და აკუსტიკურ თვისებებს და მკითხველის ცნობიერებაში „პირველად ესკიზს“ ქმნის – ნახატი ჯერ ფურცელზე არ ჩანს, მაგრამ ენობრივი პლასტიკა მკითხველს უკვე „ახედებს“ საგანთა ფორმებს.

ნაწარმოების დიალოგები და მოკლე, ლაკონიური ფრაზები ქმნის სივრცეს, სადაც ყოველი სიტყვა წონადია. ეს სიმცირე ენობრივი რესურსისა სინამდვილეში არის ენობრივი ენერგიის კონცენტრაცია, რაც საფუძველს უმზადებს მომავალ ფრენას (კულმინაციას).

„– შენ,ბაბუა, რაზე ჩაგაყუდეს? – ფრთხილად ჰკითხა ერთაოზმა.

– ოდესღაც ჩემს გულშიც გაიკვნესა ქნარმა ორფეოსისამ.

– რაო?


– მეც შემიყვარდა ერთი ქალი ნამეტნავად სევდიანად,- თქვა მოხუცმა და შუბლი კედელს მიადო“ (გაბრიაძე, 2022, გვ. 60).

ლინგვისტური შრე რეზო გაბრიაძის ესთეტიკურ სტრატეგიაში არის პირველადი სემიოტიკური იმპულსი. იგი არამხოლოდ გადმოსცემს შინაარსს, არამედ ქმნის იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ლიტერატურული ნარატივი იძენს აზრს, ხოლო ვიზუალური და მათემატიკური კოდები – დამაჯერებლობას. ენა აქ არის „ხილვადობის“ ინსტრუმენტი, რომელიც სიტყვას ანიჭებს პლასტიკურ ფორმას და ამზადებს მკითხველს მულტიმოდალური აღქმის იმ რთული პროცესისთვის, რასაც „შერეკილების“ ესთეტიკა აცოცხლებს.

რეზო გაბრიაძის გრაფიკული ჩანართები და ტექსტის შინაგანი „ფერწერულობა“ არ არის მხოლოდ დეკორაცია. ეს არის შრე, რომელიც საბოლოოდ ამსხვრევს ზღვარს წარმოსახვასა და რეალობას შორის.

რეზო გაბრიაძის შემოქმედებითი მეთოდი ეყრდნობა **ფერწერულ ნარატივს**, რომელშიც ლიტერატურული ტექსტი იძენს ვიზუალურ განზომილებას. ავტორი იყენებს გრაფიკულ გამოსახულებებს, კინემატოგრაფიულ ხედვას, რათა მკითხველის ცნობიერებაში შექმნას დინამიკური მხატვრული ტილო.


ვიზუალური კოდის ფუნქცია განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ავტორისეული ილუსტრაციებისა და გრაფიკული ელემენტების გამოყენებით. ეს ელემენტები არ ასრულებენ მხოლოდ ილუსტრაციულ ფუნქციას. ისინი მონაწილეობენ მნიშვნელობის ფორმირებაში და ტექსტის სემანტიკურ სივრცეს აფართოებენ. მაგალითად, საფრენი აპარატის გრაფიკული გამოსახულება არა მხოლოდ აღწერილი ობიექტის ვიზუალური დუბლირებაა, არამედ აბსურდისა და რეალობის გადაკვეთის ვიზუალური გამოხატულება. ამგვარად, გამოსახულება ტექსტის ინტერპრეტაციის აუცილებელ ნაწილად იქცევა.



Gunther Kress-ისა და Theo van Leeuwen-ის მულტიმოდალური ანალიზის პერსპექტივიდან, ვიზუალური ელემენტები ტექსტში ასრულებენ ელაბორაციის ფუნქციას: ისინი ვერბალურ ნარატივში მოცემულ მნიშვნელობებს ავსებენ და დამატებით სემანტიკურ შრეებს ქმნიან. ამის შედეგად, ნაწარმოებში იქმნება ისეთი მულტიმოდალური ერთიანობა, რომელშიც ვერბალური და ვიზუალური ნიშნები ურთიერთდამოკიდებულ სისტემად ფუნქციონირებს.

ვიზუალური შრის განსაკუთრებული კომპონენტია მათემატიკური ფორმულა: ნახატის შიგნით მოქცეული ფორმულები ან აეროდინამიკური გათვლები ვიზუალურ სივრცეში „მშრალ“ სამეცნიერო ხასიათს კარგავენ და ვიზუალურ მეტაფორებად იქცევიან. ციფრი ნახატის ორნამენტი და პერსონაჟთა გენიალურობის ნიშანი ხდება.

მათემატიკური ფორმულები და ტექნიკური ნიშნები ტექსტში, ერთი მხრივ, ვიზუალურად გამოხატავენ პერსონაჟთა გამოგონებით აზროვნებას, ხოლო მეორე მხრივ, აბსურდულ ნარატივს ფსევდომეცნიერულ სიზუსტეს ანიჭებენ. ამ გზით ვიზუალური კოდი აძლიერებს ტექსტის ირონიულ და სიმბოლურ შრეებს, რაც ნაწარმოების ესთეტიკურ მრავალხმიანობას განაპირობებს.



ვიზუალური შრე წარმოადგენს სიმბიოზის მატერიალიზაციის საშუალებას. Kress-ისა და van Leeuwen-ის (2001, გვ. 45) მიხედვით, ვიზუალური ელემენტები ნიშანთა სისტემაა, ენის, ჟესტის, მუსიკის თანაბარუფლებიანი პარტნიორი. „შერეკილებში“ ვიზუალური რესურსის ეს სტატუსი სრულად არის მოცული. რეზო გაბრიაძის ნახატები მოქმედებს, როგორც ვიზუალური მტკიცებულება. Kress-ისა და van Leeuwen-ის (2001, გვ. 24) ტერმინოლოგიით, ეს „ელაბორაციის“ ფუნქციაა, ვიზუალური ელემენტი ვერბალური ტექსტის მნიშვნელობას კი არ იმეორებს, არამედ განავრცობს. როდესაც ლიტერატურული ნარატივი აბსურდულ საფრენ აპარატს აღწერს, გრაფიკული ნახაზები „ჰაეროვანი“ და „ნერვიული“ შტრიხებით ამ აბსურდს მატერიალურ დამაჯერებლობას ანიჭებს.

კინემატოგრაფიული და თეატრალური ხედვა მიზანსცენების დინამიკაში იკვეთება – ნაწარმოების სტრუქტურა კინოსცენარს მოგვაგონებს, სადაც „მკითხველის თვალი“ კინოკამერის ფუნქციას ასრულებს. ამის საუკეთესო მაგალითია აპარატის ამოძრავების სცენა:

„ცათმფრენმა საშინელი სიჩქარით (ორჯერ რომ აღემატებოდა თავად ნაკაშიძის ფაიტონის სიჩქარეს) ეზოს წრე დაარტყა და უპატრონო დორეთიასკენ დაქანდა. დორეთიამ დროზე უტია, თორემ ავიაციის პირველი მსხვერპლი გახდებოდა. ნოშრევანი და სანიტრები კივილით გამოეკიდნენ საფრენ აპარატს, რომელიც ისევ დაუბრუნდა თავს დაბადების ადგილს, ხალხი მიფანტ-მოფანტა, გაქანდა ღობისკენ, გზად ნოშრევანის საყნე და წამლის წისქვილი წაშალა, ღობე გაანგრია, მინდორში გავარდა და ნახნავ მიწაზე ხტუნვა-ხტუნვით პირდაპირ უფსკრულისაკენ გაემართა. პაციენტები ჟივილ-ხივილით დაედევნენ უკან“ (გაბრიაძე, 2022, გვ. 106).

ავტორი ხშირად იწყებს მცირე დეტალით და მოულოდნელად გადადის პანორამულ ხედზე. ეს მონტაჟური პრინციპი ნარატივს განსაკუთრებულ დინამიკას ანიჭებს.

ლინგვისტური რესურსი და გრაფიკული გამოსახულებები ლიტერატურულ ნარატივს ანიჭებს მთლიანობას. ვერბალური კოდის თხრობითი შრე სიტყვისა და ნახატის ფუნქციური სიმბიოზით იდეურ სიღრმეს იძენს.

ლიტერატურული ნარატივი წარმოდგება, როგორც სემიოტიკური ხიდი და მაორგანიზებელი ცენტრი. „შერეკილები“ ლიტერატურული თვალსაზრისით არ არის მხოლოდ ამბავი. ეს ეგზისტენციალური მოგზაურობის მოდელირებაა. რეზო გაბრიაძე იყენებს აბსურდის ესთეტიკას არა უიმედობის გამოსახატავად, არამედ რეალობის შანსის საჩვენებლად, სადაც სასწაული – ფრენა – შესაძლებელი ხდება. ნაწარმოების ნარატიული ქსოვილი აგებულია Bakhtin-ის (1984)„კარნავალიზაციის“ პრინციპზე: ყოველდღიური, „დაბალი“ ყოფიერება გარდაიქმნება ფანტასმაგორიად. Bakhtin-ი (1984, გვ. 10)კარნავალს განმარტავს, როგორც ყოველდღიური ლოგიკის ინვერსიას, სადაც ტრაგიკული და კომიკური ისეა გადაჯაჭვული, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. „შერეკილებში“ ეს პრინციპი სრულყოფილად არის რეალიზებული: ნივთები ხდებიან „ფრენის“ ინსტრუმენტები. რეზო გაბრიაძესთან კარნავალი, დესტრუქციული კი არ არის, არამედ კეთილშობილური, იმედიანი და „მშენებლობითი“ ხასიათისაა, ეს „ლოკალური კარნავალი“ ქართული ფოლკლორული ტრადიციის იუმორს ეყრდნობა. პერსონაჟები „შერეკილებში“ არ არიან კლასიკური ფსიქოლოგიური პორტრეტები, ისინი კარნავალური „სემიოტიკური ფიგურები“ ან „ცოცხალი ნახატები“ არიან. ქრისტეფორე და ერთაოზი „ოსტატისა და შეგირდის“ არქეტიპს წარმოადგენენ, გროტესკულ ფორმაში გადაწყვეტილს. მათი ფიზიკური დახასიათება ტექსტში ავტორისეულ ნახატებთან მჭიდრო კავშირშია. მაჩაბელი (2019) ამ პერსონაჟებს ახასიათებს, როგორც მარიონეტებს, რომლებიც „თავად მართავენ საკუთარ ძაფებს“. ეს სწორედ კარნავალური ინვერსიის მეტაფორაა.

სივრცისა და დროის ორგანიზაცია ნაწარმოებში ორპოლუსიანია. Bakhtin-ის (1981, გვ. 84) ქრონოტოპის ცნება „შერეკილებში“ ვლინდება ორი ოპოზიციური ტოპოსის სახით: ციხე – ჩაკეტილი, ჰორიზონტალური, „მიწიერი“ სივრცე – განასახიერებს სტატიკასა და სიკვდილს. ამ სტატიკის უკიდურეს გამოხატულებაა ჭური: „ერთაოზი მიწიდან აშალეს, ჭურის პირთან მიიყვანეს, ყელზე ნომერი (72) შეაბეს, ჭურს თავსახური ახადეს და შიგ ჩააგდეს“ (გაბრიაძე, 2022, გვ. 55). ცა კი ვერტიკალური, უსასრულო სივრცეა – თავისუფლების სიმბოლო. ნარატიული სტრატეგია ამ ორი სივრცის გაერთიანებისკენ არის მიმართული: ციხის საკანში იწყება ცის „აშენება“. დრო „შერეკილებში“

არ არის ხაზოვანი, წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთშია არეული. ქრონოტოპული გადაადგილება მიწიდან ცაში ეგზისტენციალური ნახტომია, სადაც კარნავალური გარდასახვა სრულდება.

„შერეკილების“ ნარატიული სტრუქტურა არის **ღია სისტემა**, რომელიც იწვევს მკითხველს არა მხოლოდ წასაკითხად, არამედ თანაშემოქმედებისა და ვიზუალური ჭვრეტისთვის.

ამრიგად, „შერეკილებში“ ვერბალური და ვიზუალური კოდები ფუნქციონირებენ ურთიერთშემავსებელ სემიოტიკურ სისტემებად. ვერბალური ნიშნები ქმნის ვიზუალური აღქმის საფუძველს, ხოლო ვიზუალური ელემენტები აფართოებს ტექსტის მნიშვნელობის სივრცეს. სწორედ ამ ურთიერთქმედების შედეგად ფორმირდება ნაწარმოების მულტიმოდალური სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს ავტორის ესთეტიკური სტრატეგიის თავისებურებას.

ვერბალური კოდი ასრულებს ვიზუალური აღქმის მომზადების ფუნქციას: მეტაფორები, ეპითეტები, რედუპლიკაციები და ონომატოპეები ქმნის ისეთ სემანტიკურ გარემოს, რომელიც მკითხველში ვიზუალური სახეების აღქმას ააქტიურებს. ამგვარად, ენობრივი ქსოვილი ნაწარმოებში მხოლოდ ნარატიული ინფორმაციის მატარებელი არ არის. იგი ფუნქციონირებს როგორც ვიზუალური მნიშვნელობების ფორმირების საფუძველი. ამავე დროს, ვიზუალური ელემენტები – ავტორისეული ნახატები, გრაფიკული დეტალები და ფორმულები – ტექსტში მხოლოდ დამხმარე ილუსტრაციურ ფუნქციას არ ასრულებს. ისინი მონაწილეობენ მნიშვნელობის კონსტრუირებაში და აფართოებენ ვერბალური ნარატივის სემანტიკურ არეს. ამგვარად, ვიზუალური შრე ნაწარმოების სტრუქტურულ და სემანტიკურ მთლიანობაში ინტეგრირებულ კომპონენტად გვევლინება.

ამრიგად, „შერეკილების“ ესთეტიკური თავისებურება განპირობებულია ვერბალური და ვიზუალური კოდების ორგანული ერთიანობით. სწორედ ეს მულტიმოდალური სტრუქტურა ქმნის ნაწარმოების უნიკალურ მხატვრულ სისტემას და განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ ადგილს თანამედროვე ქართულ ინტერმედიალურ ლიტერატურაში.

გამოყენებული ლიტერატურა

გაბრიაძე, რ. (1978). უცხო ჩიტი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.

გაბრიაძე, რ. (2022). ჩემი პატარა ქალაქი, მოთხრობები. თბილისი. „ინტელექტი“.

მაჩაბელი, გ. (2019). სერ ისააკ ნიუტონი – ადამიანთა მოდგმის მშვენება. თბილისი. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ქარდავა, დ. (2020). გზამკვლევი „განათებული სიბნელის“ დასაძლევად. „არილი“. http://arilimag.ge/დათო-ქარდავა-გზამკვლევი

Bakhtin, M. M. (1981). The Dialogic Imagination: Four Essays. Trans. C. Emerson & M. Holquist. Austin. University of Texas Press.

Bakhtin, M. M. (1984). Rabelais and His World. Trans. H. Iswolsky. Bloomington. Indiana University Press.

Heffernan, J. A. W. (1993). Museum of Words: The Poetics of Ekphrasis from Homer to Ashbery. Chicago. University of Chicago Press.

Kress, G. (2010). Multimodality: A Social Semiotic Approach to Contemporary Communication. London & New York. Routledge.

Kress, G., and van Leeuwen, T. (1996). Reading Images: The Grammar of Visual Design. London. Routledge.

Kress, G., and van Leeuwen, T. (2001). Multimodal Discourse: The Modes and Media of Contemporary Communication. London. Arnold.

Rippl, G. (ed.). (2015). Handbook of Intermediality: Literature – Image – Sound – Music. Berlin. De Gruyter.

Kress, G., and van Leeuwen, T. (2001). *Multimodal Discourse: The Modes and Media of Contemporary Communication*. London: Arnold.

Rippl, G. (ed.). (2015). *Handbook of Intermediality: Literature – Image – Sound – Music*. Berlin: De Gruyter.

References:

Bakhtin, M. M. (1981). *The Dialogic Imagination: Four Essays*. Trans. C. Emerson & M. Holquist. Austin: University of Texas Press.

Bakhtin, M. M. (1984). *Rabelais and His World*. Trans. H. Iswolsky. Bloomington: Indiana University Press.

Gabriadze, R. (1978). *Utskho chit'i*. [Foreign Bird]. Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo.

Gabriadze, R. (2022). *Chemi p'at'ara kalaki, motkhrobebi*. [My Little Town, Short Stories]. Tbilisi: Int'elekt'i.

Heffernan, J. A. W. (1993). *Museum of Words: The Poetics of Ekphrasis from Homer to Ashbery*. Chicago: University of Chicago Press.

Kardava, D. (2020). *Gzamk'vlevi „ganatebuli sibnelis" dasadzlevad*. [A Guide to Overcoming "Illuminated Darkness"]. Arili. http://arilimag.ge/დათო-ქარდავა-გზამკვლევი

Kress, G. (2010). *Multimodality: A Social Semiotic Approach to Contemporary Communication*. London & New York: Routledge.

Kress, G., & van Leeuwen, T. (1996). *Reading Images: The Grammar of Visual Design*. London: Routledge.

Kress, G., & van Leeuwen, T. (2001). *Multimodal Discourse: The Modes and Media of Contemporary Communication*. London: Arnold.

Machabeli, G. (2019). *Ser Isaak Niut'oni – adamianta modgmis mshveneba*. [Sir Isaac Newton – The Glory of the Human Race]. Tbilisi: Ilia State University Press.

Rippl, G. (ed.). (2015). *Handbook of Intermediality: Literature – Image – Sound – Music*. Berlin: De Gruyter.